საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 ნოემბერი, 2012 წელი.

№222 (7098)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუმთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ფილიპ გორდონი:

უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ

2

მოწმის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება!

2

ნიკა გვარამიას მკაცრად მოეკითხება!

იმ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც საქართველოში მუშაობდა, ბაჩო ახალაია სერიოზული ფიგურაა

4

ვისგან ემუქრება საფრთხე ბაჩო ახალაიას – „კანონიერი ქურდებისგან“ თუ ნაციონალებისგან?

3



ლალი აფციაური ბაჩო ახალაიას ოჯახს მიმართავს.

„მისი ოჯახის გასაგებადაც: ვამბობ, პირველად გაიგეთ, რომ ნაციონალებისგან გემუქრებათ საფრთხე? ჟვანიას ამბავი ხომ არავის დავიწყებია? დღემდე ეჭვქვეშ დგას მისი გარდაცვალების საკითხი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ესენი ქილერობას მიჩვეული ხალხია, არ უჭირთ ადამიანების ფიზიკური განადგურება. ასე მოგვისივეს შეიარაღებული ბანდფორმირებები 7 ნოემბერს, 26 მაისს, მიცვალებულები მაღაზიის თავზე შემოდეს. მათი ნდობა შეიძლება?

ნაციონალები ამაოდ ცდილობენ ნატოს ასამბლეის რეზოლუციის ფარად გამოყენებას. ყველა დამნაშავეს პასუხისგება მოუწევს ჩადენილი ბოროტმოქმედებისთვის და არა პოლიტიკური ნიშნით!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფილიპ გორდონი: უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ

ფილიპ გორდონი საპრეზიდენტო ინსტიტუტისა და საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის მქონე მთავრობის თანაარსებობით დაინტერესდა, — ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ეს იყო მეგობრული და პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალა, ხოლო ამერიკაში ჩატარებულმა არჩევნებმა ბევრი რამ არ შეცვალა.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ფილიპ გორდონს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კონსტიტუციური და პოლიტიკური რეალობა საქართველოში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

— ასევე აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია ყველა თანამდებობის პირმა საკუთარი მოვალეობა შეასრულოს. ჩვენს შორის პოლიტიკური განსხვავებები არ ამოიწურება და არც მინდა ამოიწუროს, რადგან ქვეყანაში საჭიროა მრავალპარტიულობა, მაგრამ ვიდრე კონკრეტულ პირებს ესა თუ ის თანამდებობა უკავიათ, მათ უნდა განახორციელონ ამ თანამდებობის შესაფერისი ქმედება, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში დემოკრატიის პერსპექტივებსაც.

— ვისაუბრეთ იმაზე, რა ნაბიჯებია გადასადგმელი, რომ აღდგეს სამართლიანობა; დაუსჯელი არ დარჩეს არავინ, ვინც ჩაიდინა დანაშაული ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს ჩვენ პროკურორებად არ ავურჩევივართ ხალხს. ჩვენ აგვირჩიეს იმიტომ, რომ მოქალაქეებმა შვება იგრძნონ, ქვეყანა წინ წავიდეს, ეკონომიკა განვითარდეს და ამ მიმართულებით დებატები სწრაფად უნდა დავასრულოთ. ყოველი დაკავება არ შეიძლება იყოს მორიგი ისტერიის მიზეზი პოლიტიკური ანგარიშსწორების შესახებ. ამ ტიპის ქმედებები გარდაუვალია, რადგან ის ადამიანები, ვინც დანაშაულს სჩადიოდა, აქამდე პოლიტიკურ თანამდებობებზე იყვნენ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრებზე ხაზი გაესვა პოლიტიკურ ძალთა შორის ცივილიზებული ურთიერთობების მნიშვნელობასაც, რათა, უსუფაშვილის განმარტებით, ვინმეს დაკავება პოლიტიკურ დონეზე მოსაგვარებელი დამატებითი პრობლემა არ იყოს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მხარეებმა საქართველოს პოლიტიკურ პრიორიტეტებზეც ისაუბრეს.

— კერძოდ შევეხეთ იმას, როგორ შეიძლება დაჩქარდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და მოვახერხოთ, რომ დასავლეთ მეგობრების დახმარებით მივაღწიოთ უსაფრთხოების მეტ გარანტიებს რუსეთთან მიმართებაში, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, დაკავებებთან დაკავშირებით კონკრეტული საკითხი შეხვედრაზე განხილული არ ყოფილა.

— ვისაუბრეთ იმაზე, რომ კანონის უზენაესობა მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას, თუმცა - დადგენილი პროცედურებით, — განაცხადა უსუფაშვილმა.

◎ სკანდალური აღიარება

მოწმის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება!

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე განსასჯელმა შოთა სადუნიშვილმა სკანდალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რადგან ის არის ერთადერთი მოწმე 2011 წლის 23 სექტემბერს თადარიგის ოფიცრის სერგო თეთრაძის მკვლელობისა.

შოთა სადუნიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში და მას 12 წელი ჰქონდა მისჯილი. სასჯელს იხდიდა გლდანის საპყრობილეში. მოგვიანებით მას ახალი ბრალდებაც წაუყენეს, თაღლითობა — ფულის გამოძალვა ზუგდიდელი ჯუმბერ ჩაბალუხას მიმართ. რის გამოც ის გლდანის საპყრობილიდან გადმოიყვანეს ზუგდიდის საპყრობილეში. გავრცელებული ვერსიით ის სპეციალურად გაარიდეს გლდანის საპყრობილეს, სადაც მან საკუთარი თვალით ნახა მეზობელ კამერაში თუ როგორ აწამებდა სერგო თეთრაძეს მეგის ქარდავა და როგორ შემოაკვდათ იგი.

ჯაშუშობაში ბრალდებული თადარიგის ოფიცერი, ყოფილი მზვერავი, ომის ვეტერანი 47 წლის სერგო თეთრაძე 2011 წლის 17 სექტემბერს დააკავეს, ხოლო ოფიციალური ვერსიით ის 23 სექტემბერს გარდაიცვალა გულის შეტევით. მეგის ქარდავა ამ პერიოდში სამხედრო პოლიციის უფროსი იყო.

როცა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნატრული აკობიამ შოთა სადუნიშვილს დართო ნება სასამართლო პროცესზე კითხვით მიემართა იმ პიროვნებისათვის, რომელიც მას თაღლითობაში სდებდა ბრალს, სადუნიშვილმა მომენტით ისარგებლა და შეკითხვის ნაცვლად განცხადება გააკეთა. „მე სულ არ მაინტერესებს ის საქმე, რომელიც ამჟამად იხილება ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, არ მაინტერესებს კიდევ რამდენს დამიმატებენ. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია, რადგან ვარ ერთადერთი მოწმე, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ მოკლა მეგის ქარდავამ პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე. დანარჩენი 2 მოწმე კი მოსპეს.“ — განაცხადა შოთა სადუნიშვილმა...

ლადო ძირია,
ზუგდიდი.

◎ წერილი რედაქციას

ვაზეიმოთ სამართალი!

საქართველოში უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის ვანდალურმა ხელყოფამ. ავადმყოფი ხელისუფლების ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით ძეგლი მოხსნეს „ივერიის“ წინა მოედნიდან და გადაიტანეს ყოვლად შეუფერებელ ადგილზე, დაიდგა დაბალხარისხიანი ფილებით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე, დიდგორის გმირის ძეგლის გადატანა ისე მოახდინეს, რომ მისი ავტორი — მსოფლიო მნიშვნელობის მონუმენტალისტის ბ-ნ მერაბ ბერძენიშვილისათვის აზრი არც კი უკითხავთ.



გარდა ამისა, თანამედროვე ბარბაროსებმა მთლიანად აღგავეს პირისაგან მიწისა დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი ქ. ქუთაისში (რასაც დედა-შვილის სიცოცხლეც შეეწირა). ვაიპრეზიდენტმა თავისი ამ ავადმყოფური გადაწყვეტილებით შეურაცხყო 300 ათასი ქართველი მებრძოლის ხსოვნა და ქართველი ხალის თავმოყვარეობა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მომხდარმა ეპოქალურმა მოვლენებმა ახალი იმედები გაუჩინა ჩვენ მრავალჭირგამოვლილ ერს. სიმართლემ უნდა იზეიმოს, დიდი მეფე თავის კუთვნილ ადგილზე უნდა დაბრუნდეს, აუცილებლად უნდა აღდგეს ქუთაისის მემორიალი.

ეს ღონისძიებები გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს გამოიწვევს. თუ დაფინანსება სამთავრობო არხებით შეუძლებელი იქნება, დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ნებაყოფლობით, პირადი შენატანებით განახორციელებს ამ სამართლიან აქტს. მწამს, ამ ღონისძიებაში ყოვლად დაუძალებლად მიიღებენ მონაწილეობას საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, მოქმედი ბიზნესმენები.

ამ საკითხის მოგვარება მოსახლეობაში უკიდურესად დადებით ემოციებს გამოიწვევს და შეაკავშირებს მას ახლადარჩეულ მთავრობასთან, რადგან ეს ბოროტების დამარცხება იქნება.

ვაზეიმოთ სამართალი.

პაგივისცემით
გურამ მგელაძე,
პენსიონერი

◎ მართლმსაჯულება

გადაიხედება „ფოტორეპორტიორების“ საქმე

ფოტორეპორტიორები გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე „ფოტორეპორტიორების საქმის“ გადახედვისა და ხელახლა გამოძიების მოთხოვნით პროკურატურაში განცხადებას შეიტანენ. როგორც ფოტორეპორტიორმა გია აბდალაძემ განაცხადა, ამ დროისთვის ადვოკატთან კონსულტაცია და მტკიცებულებების შეგროვება მიმდინარეობს. აბდალაძის განმარტებით, განცხადებას თან დაერთვება მტკიცებულება ვიდეოს სახით.

ამასთან, აბდალაძე მოითხოვს იმ თანამდებობის პირების დასჯას, „ვინც საქმის გაყალბებაში მონაწილეობა პირადად მიიღო“.

— უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ჩვენი საქმის გაყალბებაში მონაწილეობდა. პირადად მე, შსს-ს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილსა და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ვდებ ბრალს. ეს სამი ადამიანი წყვეტდა ჩვენს ყოფნა-არყოფნის საკითხს, — აღნიშნა აბდალაძემ.

უკანონოდ დაპატიმრებულთა საქმეები თურმე რემონტის დროს დაიკარგა!

ადვოკატი ირმა ჭკადუა ქუთაისში 2001 წელს მომხდარი საიუველირო მაღაზია „თეატრონის“ ძარცვის საქმის ხელახალ გამოძიებას მოითხოვს. ირმა ჭკადუამ ამასთან დაკავშირებით საჩივარი მთავარ პროკურატურაში შეიტანა. როგორც ჭკადუა აცხადებს, 2001 წელს მომხდარი ძარცვის საქმე სოდ-ისა და კუდ-ის გამომძიებლებმა გახსნილად 2008 წელს, გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოაცხადეს.

— რეალურად ამ საქმის გახსნა წამების შედეგად მოხდა. ხუთი ადამიანია დაკავებული ამ საქმეში და არ მოიპოვება რეალური მტკიცებულებები. საქმეში ასევე დევს ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ „თეატრონის„ დაყაჩაღებასთან დაკავშირებით მტკიცებულებები პროკურატურის გარემონტებისას დაიკარგა. ამ შემთხვევაში უცნობია, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე მოხდა საქმის გახსნა, — აცხადებს ჭკადუა.

მისივე თქმით, ისინი აღნიშნულ საქმეზე გამოძიების ხელახლა დაწყებას და ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვენ, ვისაც, ირმა ჭკადუას თქმით, პირდაპირი და ირიბი შეხება ჰქონდა მტკიცებულებების გაყალბებასთან.

ლევან კალაძის საქმე ხელახლა გამოსაძიებელია

კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის საქმეზე მსჯავრდებული ლევან ცინცაძე ხელახალ გამოძიებას მოითხოვს. ამ მოთხოვნით საჩივარი ადვოკატმა ირმა ჭკადუამ მთავარ პროკურატურაში გუშინ შეიტანა. საჩივრის შეტანას ესწრებოდა ლევან ცინცაძის დედა მედეა კორკოტაშვილი. ირმა ჭკადუას განცხადებით, ლევან ცინცაძე, რომელიც 26-წლიან სასჯელს იხდის, საჩივარში მტკიცებულებების გაყალბებაზე საუბრობს და დანაშაულთან კავშირს უარყოფს.

ჭკადუას თქმით, საქმეში უკვე არსებობს რამდენიმე მტკიცებულება, რომელიც ლევან ცინცაძის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

ცინცაძის დედა კი აცხადებს, რომ სანამ ლევან ცინცაძეს საქართველოში ჩამოიყვანდნენ, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა პროკურორ კახა ცნობილაძისგან და ეს პროკურორი მას საპროცესო გარიგებას სთავაზობდა, თუმცა ცინცაძემ ამაზე 2007 წელს უარი განაცხადა.

მედეა კორკოტაშვილის განცხადებით, 2008 წელს ლევან ცინცაძეს შეწყალებაც კი შესთავაზეს, თუმცა ცინცაძემ შეწყალებაზე უარი განაცხადა. როგორც ადვოკატი და მსჯავრდებულის დედა აცხადებენ, ლევან ცინცაძე არ აპირებს ამნისტიით ან შეწყალებით ისარგებლოს და აცხადებს, რომ საპატიმროს მხოლოდ მას შემდეგ დატოვებს, რაც თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

„საქართველოში პოლიტიკური დევნის ეპოქა დასრულდა“

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის კობა დავითაშვილის განცხადებით, შსს-ს მაღალჩინოსანთა დაკავება და მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალი „გზავნილია ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ახორციელებდა, დღესაც ახორციელებს და მომავალში დააპირებს პოლიტიკური დევნის განხორციელებას“.

როგორც დავითაშვილი აცხადებს, „საქართველოში პოლიტიკური დევნის ეპოქა დასრულდა“.

— შსს-ს მაღალჩინოსნების საქმე ნამდვილად ეხება პოლიტიკურ დევნას თავად იმ პირების მხრიდან, ვინც დააკავეს. ეს ადამიანები ხელისუფლების დავალებით პოლიტიკური ოპონენტების დევნას ახორციელებდნენ და ამისთვის მოსყიდვას, შანტაჟს, უკანონო ფარულ ჩანაწერებს იყენებდნენ. ეს პოლიტიკური დევნის მთელი მანქანა იყო, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

„ნაციონალებს“ საკუთარი უსაფრთხოების პრობლემები აწუხებთ

სწორედ ასე აფასებს დეპუტატი დავით ბერძენიშვილი ყოფილი სახელისუფლებო გუნდის მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში გახორციელებული დაკავებების პოლიტიკურ ზეწოლად და ანგარიშსწორებად შეფასების ფაქტს.

ბერძენიშვილის თქმით, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბარი ზედმეტია.

— პროკურატურას კითხვები კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით აქვს, რაც ბუნებრივი პროცესია და შეუძლებელია, ეს ანგარიშსწორებად შეაფასო. თუმცა როგორც ჩანს, შეშინებული ადამიანები საკუთარი უსაფრთხოების დაცვას ცდილობენ, — აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვისგან ემუქრება საფრთხე ბაჩო ახალაიას – „კანონიერი ქურდებისგან“ თუ ნაციონალებისგან?

„როდესაც „ძურდებთან“ 20 მეტრში ხარ, ეს უსაფრთხოების დაცვის გარანტია ვერ იქნება“, – აცხადებს სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების მარტოობის ბინადარი ბაჩო ახალაია.

იგი №7დაწესებულების მესამე სართულზე იმყოფება. ამ საპყრობილეში მოთავსებულმა სხვა მსჯავრდებულებმა ჯერჯერობით არ იციან, რომ მათ სიახლოვეს ეს პატიმარი იმყოფება. მისი ფლიგელი რკინის გისოსით არის გაყოფილი კანონიერი ქურდებისგან.

ახალაია აცხადებს, რომ მას უსაფრთხოების გრძელვადიანი გარანტია არ აქვს. მართალია, იგი სასჯელაღსრულების დაწესებულების სამარტოო საკანშია მოთავსებული და ფლიგელში მის გარდა სხვა პატიმრები არ იმყოფებიან, მაგრამ, ამის მიუხედავად, თვლის, რომ ამ დაწესებულებაში მისი გადაყვანა უფრო ცინიზმია, ვიდრე – უსაფრთხოების დაცვა. მეტიც, თუ ვინმეს მისი უსაფრთხოების დაცვა სურდა, ე.წ. მატროსოვის ციხეში (სადაც ყოფილი თანამშრომლები იხდიან სასჯელს) უნდა გადაეყვანათ და არა – №7 დაწესებულებაში.

ბაჩო ახალაიასგან განსხვავებით, მისი უსაფრთხოების გარანტიას იძლევა სოზარ სუბარი. სასჯელაღსრულების მინისტრი აცხადებს, რომ მათ იზრუნეს, რათა ბაჩო ახალაიას თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო, რადგან ძველ საპყრობილეში მას ძალიან ბევრი განაწყენებული ადამიანი ჰყავს და ყვირილისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისგან დაცული ვერ იქნებოდა. ახალ საპყრობილეში კი ადამიანის უსაფრთხოება ყველაზე მეტად არის დაცული. კონკრეტულად, ახალაიას საკანი აბსოლუტურად იზოლირებულია არა მხოლოდ დანარჩენი პატიმრებისგან, არამედ მთლიანი შენობისგან. უფრო მეტიც, შენობის იმ ნაწილში, სადაც ბაჩო ახალაია არის შესახლებული, არავინ ცხოვრობს. ზოგადად კი, №7 დაწესებულებაში პატიმრების ძალიან მცირე რაოდენობაა და შესაბამისად, პატიმრებისგან რაიმე საფრთხე არ არსებობს.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ადასტურებს, რომ გლდანის ციხის პატიმრებს ბაჩო ახალაიას მიმართ დიდი აგრესია ჰქონდათ და რამდენიმე პატიმარი ახალაიას მისამართით იმუქრებოდა კიდეც, რომ მას არ აცოცხლებდა. სწორედ ამ მიზეზით ახსნა თეა წულუკიანმა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის №7 დაწესებულებაში გადაყვანა.

ცნობილია, რომ ბაჩო ახალაია გლდანის ციხიდან №7 დაწესებულებაში 13 ნოემბრის საღამოს გადაიყვანეს, თუმცა მისთვის არანაირი განმარტება არ მიუციათ. როგორც ირკვევა, ამ დაწესებულებაში პირობები ნორმალურია – სამი ოთახია თავის დერეფნიანად. დამონტაჟებულია კამერები, რომლებიც უთვალთვალებს მის იქ ყოფნას. ამ კამერების შესახებ დაკავებულმა თავადაც იცის და თავის დროზე ხელი აქვს მოწერილი ამასთან დაკავშირებით. ახალაიას ახალ საკანთან დაცვა ორივე მხრიდანაა მობილიზებული. სეირნობისას კი აბსოლუტურად იზოლირებულია ყველა პატიმრისგან.

ამის მიუხედავად, ბაჩო ახალაიას თანამოაზრენი და ოჯახის წევრები მის მატროსოვის ციხეში გადაყვანას ითხოვდნენ, რადგან, მათი თქმით, ახალაიას შესახლება კანონიერ ქურდებთან, რომლებსაც ის ებრძოდა, დაუშვებელია. მეტიც, ახალაიას იდეოლოგიური მეგობრები სამოქალაქო წინააღმდეგობის სხვა ფორმით, მათ შორის, №7 დაწესებულების პიკეტირებით იმუქრებიან. ამავდროულად, ნაციონალური მოძრაობის წევრები ბაჩო ახალაიასთან ულიმიტო შესვლის უფლებას ითხოვენ.

რა თქმა უნდა, ახალაიას მხარდამჭერთა შეკრებაზე ვინ თუ არა, თეა თუთბერიძე კვლავაც გამოჩნდა. მას შელაპარაკებაც მოუხდა ლალი მოროშკინასთან. იმ დროს, როცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის სოზარ სუბარის მრჩეველი ლალი მოროშკინა ჟურნალისტებთან კომენტარს აკეთებდა, თეა თუთბერიძე საუბარში ჩაერთო და მისგან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის ირაკლი წერეთლისა და ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ვატო ყიფიანის ნათესაური კავშირის გადამწმება მოითხოვა. ამის საპასუხოდ ლალი მოროშკინამ მას უთხრა: „თქვენთან დაკავშირებით: მერე ცალკე დავილაპარაკოთ, რაც ბაჩო ახალაიამ თქვენთან დამაბარა“. თუმცა თუთბერიძე კვლავაც ცინიკურად საუბრობდა.

For.ge დაინტერესდა, რა დააბარა ლალი მოროშკინას ბაჩო ახალაიამ თეა თუთბერძესთან. თუმცა ლალი მოროშკინამ გვითხრა: **„არ შემიძლია, გითხრათ, რა დამავალა ბაჩო ახალაიამ თეა თუთბერიძესთან; ეს პრესისთვის არ არის. კომენტარს ვერ გავაკეთებ ადამიანებზე, რომლებიც გარეთ ურევენ სიტუაციას. არ ვიცი, რატომ აქტიურობს თუთბერიძე. არა მგონია, მისი უხამსი ქცევა ბაჩოსთვის სიკეთის მომტანი იყოს. როცა მე, როგორც ოფიციალური პირი, გამოვდივარ და ინტერვიუს ვიძლევი, ამ დროს კი ასეთი შემოჭრა ხდება, ეს ცოტა უშნოდ ჩანს თუთბერიძისგან. არანაირად არა მგონია, ეს პროვოკაციები ბაჩოს ინტერესებში იყოს“.**

For.ge დაინტერესდა, რამდენად უსაფრთხოა ბაჩო ახალაიას სიცოცხლე №7 დაწესებულებაში.

ადვოკატ ლალი აფციაურის თქმით, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულება ნამდვილად უსაფრთხოა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ე.წ. კანონიერი ქურდები სხედან, ვინაიდან მათ არავინ მიუშვებს ბაჩო ახალაიასთან; არც თვითონ მივლენ მასთან, ეს გამორიცხულია. სამაგიეროდ, **ლალი აფციაური მიიჩნევს, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ საფრთხე მოდის სწორედ იმავე ნაციონალებისგან. მით უმეტეს, რომ ნაციონალების მიერ განწირული არაერთი ადამიანი გვინახავს. აქედან გამომდინარე, ადვოკატი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ ნაციონალები ახალაიასთან შესვლის შეუზღუდავ ლიმიტს ითხოვენ.**

„მე თუ მკითხავთ, სოზარმა კატეგორიულად უნდა შეუზღუდოს ლიმიტი, მათ შორის, მონიტორინგის ჯგუფსაც; თითოეული ადამიანი უნდა იყოს აღრიცხვაზე, რადგან არ არის გამორიცხული, ბაჩო ახალაია მართლა მოიშორონ ნაციონალებმა და მერე განაცხადონ, რომ ეს „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთაო ან ახალმა ხელისუფლებამ. ბევრი გვინახავს მათ მიერ მოცილებული ხალხი, ერთი კითხვა მაქვს ნაციონალებთან – ოქრუაშვილი რომ გადაიყვანეს №7 საპყრობილეში, ეს რას ნიშნავდა? დაპატიმრების შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი სწორედ მანდ ჰყავდათ გადაყვანილი. ნუთუ მაშინ არ ხდებოდა ზეწოლა? ირაკლი ოქრუაშვილი არ ებრძოდა ქურდებს? ეს ის ხალხი არ არის, რომლებმაც ირაკლი ოქრუაშვილს და კიდევ ვიღაცებს ციხის კარები გაუღეს, რომ მართლა რამე მომხდარიყო?!“ – კითხულობს ლალი აფციაური.

ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ბაჩო ახალაია აუცილებლად ალაპარაკდება, უბრალოდ, ამას დროს უნდა, ამიტომ საშიშროება მოდის ისევ ნაცებისგან, მეტი არავისგან. მასვე ახსენდება ნაციონალების ადრინდელი ნათქვამი, რომ ციხეებში თურმე მშვენიერი პირობები იყო. თუმცა რატომღაც ეს მშვენიერი პირობები ახლა გახდა ცუდი პირობები.

> ბაჩო ახალაიას ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დამნაშვედ ითვლება, იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულშია მხილებული და, რა თქმა უნდა, ისიც სრულად უნდა იყოს იზოლირებული. მით უმეტეს, რეალურად იგი არ არის იზოლირებული საზოგადოებისგან, მასთან შედიან და ინტერვიუებს იღებენ, რაც გამორიცხული იყო ციხეში.

ადვოკატის შეფასებით, ახალი ხელისუფლება ახალაიას მართლაც ნორმალურ პირობებს შეუქმნის და არავის სალაპარაკოს არ მისცემს. ამდენად, ლალი აფციაური ბაჩო ახალაიას ოჯახს მიმართავს.

„მისი ოჯახის გასაგებადაც: ვამბობ, პირველად გაიგეთ, რომ ნაციონალებისგან გემუქრებათ საფრთხე? ჟვანიას ამბავი ხომ არავის დავიწყებია? დღემდე ეჭვქვეშ დგას მისი გარდაცვალების საკითხი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ესენი ქილერობას მიჩვეული ხალხია, არ უჭირთ ადამიანების ფიზიკური განადგურება. ასე მოგვისიეს შეიარაღებული ბანდფორმირებები 7 ნოემბერს, 26 მაისს, მიცვალებულები მაღაზიის თავზე შემოდეს. მათი ნდობა შეიძლება? ამიტომ არაფრით არ უნდა დაუშვან, რომ ზუსტად ნაციონალები შევიდნენ მის საკანში. იქ უნდა შევიდნენ აბსოლუტურად ნეიტრალური, კარგად შემოწმებული ადამიანები, რომ მართლა არაფერი დამართონ ახალაიას. არც ჟურნალისტები უნდა შევიდნენ, რადგან ეს არის განსაკუთრებული პატიმარი და ეს აჟიოტაჟი ძალიანაც არ მომწონს. რაღაცას მანიშნებს ეს უაზრო აჟიოტაჟი“, – აღნიშნა ლალი აფციაურმა.

> ლალი აფციაური ბაჩო ახალაიას ოჯახს მიმართავს.
> „მისი ოჯახის გასაგებადაც: ვამბობ, პირველად გაიგეთ, რომ ნაციონალებისგან გემუქრებათ საფრთხე? ჟვანიას ამბავი ხომ არავის დავიწყებია? დღემდე ეჭვქვეშ დგას მისი გარდაცვალების საკითხი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ესენი ქილერობას მიჩვეული ხალხია, არ უჭირთ ადამიანების ფიზიკური განადგურება. ასე მოგვისიეს შეიარაღებული ბანდფორმირებები 7 ნოემბერს, 26 მაისს, მიცვალებულები მაღაზიის თავზე შემოდეს. მათი ნდობა შეიძლება?

უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ **რეალურად ბაჩო ახალაიას საშიშროება ემუქრება როგორც კანონიერი ქურდებისა და ნაციონალებისგან, ასევე, ნებისმიერი იმ პატიმრისგან, რომელიც მას წამებაში ამხელს.** ასეთები კი ათასობით პატიმარია.

უფლებადამცველის თქმით, დღეს სასჯელაღსრულების სამინისტროსა და დეპარტამენტის მიზანი ის არის, რომ ბაჩო ახალაიას უსაფრთხოება უზრუნველყონ ყველა შესაძლო საფრთხისგან, რომელიც მომდინარეობს ან ქურდებისგან, ან ნაციონალებისგან, ან სხვა სახის პატიმრებისგან. აქედან გამომდინარე, გელა ნიკოლაიშვილის აზრით, ამ ადამიანის უსაფრთხოებისა და სრული იზოლაციისთვის ყველაზე უკეთესი პირობები სწორედ №7 დაწესებულებაშია, რადგან იქ სულ 30-დან 40 პატიმრამდეა. ამ დროს კი ამავე სისტემის სხვა დაწესებულებებში ათასობით პატიმარია.

„ამ ათასობით პატიმრისთვის ბაჩო ახალაია ხელმისაწვდომი რომც არ იყოს (და, რა თქმა უნდა, არ იქნება ხელმისაწვდომი), მარტო ხმაურით, მარტო პროტესტის გამოხატვით და თუნდაც აჟიოტაჟით შეუძლიათ ამ პატიმრებს დეზორგანიზაცია შეიტანონ მთლიანი დაწესებულების ფუნქციონირებაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო სამინისტრომ მისი უსაფრთხოებისა და იზოლაციისთვის. იმაზე აპელირება, რომ იქ სხედან ქურდები, უსაფუძვლოა. ასე, ყველა შენობაში სხედან ბაჩო ახალაიასგან გამწარებული ადამიანები, არ აქვს მნიშვნელობა, ქურდი იქნება თუ სხვა პატიმარი. რასაკვირველია, ის ვერ იქნება მშვიდად, თუ მას ექნება კონტაქტი პატიმრებთან, კონტაქტის მაქსიმალურად აკრძალვა კი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ცოტაა ასეთი პატიმარი. ნაციონალური მოძრაობიდან ვიღაცას უთქვამს, გამოდის, ქურდები სადაც არიან, ყველაზე დაცული ის ციხე ყოფილაო. დიახ, საპყრობილეში, სადაც ყველაზე მძიმე დამნაშავეებად მიჩნეული ქურდები სხედან, ყველაზე მეტი უსაფრთხოებაა დაცული“, – აღნიშნა გელა ნიკოლაიშვილმა.

მისივე თქმით, ბაჩო ახალაიაც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დამნაშვედ ითვლება, იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულშია მხილებული და, რა თქმა უნდა, ისიც სრულად უნდა იყოს იზოლირებული. მით უმეტეს, რეალურად იგი არ არის იზოლირებული საზოგადოებისგან, მასთან შედიან და ინტერვიუებს იღებენ, რაც გამორიცხული იყო ციხეში.

რაც შეეხება ნაციონალების მოთხოვნას, ბაჩო ახალაიასთან ულიმიტო შესვლის თაობაზე, ადვოკატი და უფლებადამცველი აცხადებს, რომ ულიმიტო არაფერი ვარგა, არც ხელისუფლებაში უსასრულოდ ყოფნაც და არც ულიმიტო სიცოცხლე. ამდენად, თავისი წესები ყველაფერს უნდა ჰქონდეს, მათ შორის, ბაჩო ახალაიასთან შესვლასაც.

„მით უმეტეს, რომ ნებისმიერი სხვა პატიმრისთვის ინტერვიუების მიცემა და საზოგადებასთან კონტაქტი დაუშვებელია. როდესაც ჯერ კიდევ მიუსჯელია პატიმარი, მას ტელეფონზეც არ არეკინებენ“.

ამდენად, გელა ნიკოლაიშვილის თქმით, სხვა პატიმრების მსგავსი უფლებები უნდა გავრცელდეს ბაჩო ახალაიაზეც. ის ფაქტი, რომ საპყრობილეში შესასვლელად 51-კაციანი ჯგუფი დაუშვეს და მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ იქ შესვლა მოსაწესრიგებელია.

რაც შეეხება №7 დაწესებულებაში ბაჩო ახალაიას გადაყვანის ფაქტს. გელა ნიკოლაიშვილს ახსენდება, რომ სწორედ ამ დაწესებულებაში იყვნენ მოთავსებულნი ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გირგვლიანის მკვლელები და ამ ადამიანებს კანონიერ ქურდებთან შეხება არ ჰქონიათ.

„თქვენ წარმოიდგინეთ, 2 ათასი კაცის ხმაურის ატეხვა და 35 კაცის (რომელთა შორისაც 20 კანონიერი ქურდია) ხმაური. მათ შორის რამხელა განსხვავებაა! ამდენად, სანქციების გატარება 20 კაცის მიმართ უფრო ადვილია, კარცერში ჩასმა იქნება ეს თუ სხვა სახის აკრძალვები, თუ 2 და 3 ათასი კაცის მიმართ?! მით უმეტეს, ისინი იმავე კორპუსში არ არიან და მოცილებულნი არიან ბაჩო ახალაიას საკანს. ამდენად, ვფიქრობ, მისი ოჯახის წევრებს ხმაურის ატეხვა აძლევთ ხელს და სურთ, ბაჩო ახალაია პოლიტიკურ დევნილად წარმოაჩინონ“, – გვითხრა გელა ნიკოლაიშვილმა.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ახალაიას სხვა საპყრობილეში გადაყვანა კანონს არ ეწინააღმდეგებოდა და ეს კანონი მიღებულია სააკაშვილის დროს, სწორედ ბაჩო ახალაიას რეკომენდაციით. ამდენად, ამ კანონის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა თვითონ უნდა განსაზღვროს, სად და რომელ დაწესებულებაში ეყოლებათ ესა თუ ის პირი. მთავარია, მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილ იქნას, რადგან ამაზე პასუხს აგებს თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულება.

ნანა კაკაბაძე, ასევე, მიიჩნევს, რომ **ახალაიას საფრთხე ემუქრება იმ ადამიანებისგან, რომელთა მხილებაც მას შეუძლია.** ამ ადამიანებს კი სერიოზული სასჯელები ელით იმ დანაშაულებების გამო, რომლებსაც ბაჩო ახალაია მათთან ერთად სჩადიოდა. საუბარია იმავე დამკვეთებზე, შემსრულებლებზე. ამდენად, მათ ჰყავთ უკმაყოფილო ადამიანების სერიოზული წრე.

„ახალი ხელისუფლების ინტერესებში უნდა იყოს მისი გასამართლება და ყველა დანაშაულის საჯაროდ გამოტანა, რომელიც ძველ მაღალჩინოსნებს აქვთ ჩადენილი; ხოლო ბაჩო ახალაიას ყოფილი თანაგუნდელების ინტერესი ისაა, რომ ეს საქმეები არ იყოს გამოტანილი; ამის მიუხედავად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბაჩო ახალაია შესაძლოა, ალაპარაკდეს. ამდენად, ბაჩო ახალაიასთან ნაცმოძრაობის წევრების ულიმიტოდ შესვლის საკითხს უნდა არეგულირებდეს კანონი და არა მათი მოთხოვნა, ულიმიტოდ შეგვიშვითო. მით უმეტეს, ბაჩო ახალაია დღეს არის განსაკუთრებული პატიმარი, განსაკუთრებული ინფორმაციის მქონე და ბუნებრივია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ საკითხებს გამოძიება უნდა წყვეტდეს“, – აღნიშნავს ნანა კაკაბაძე.

ამასთან, უფლებადამცველი ვერ აკონკრეტებს, ბაჩო ახალაიას ოჯახის წევრები რატომ ვერ ხვდებიან, რომ №7 დაწესებულებაში იგი უფრო უსაფრთხოდაა მოთავსებული, ვიდრე – სხვაგან. თუმცა ნანა კაკაბაძის აზრით, ყველაფერზე აჟიოტაჟის ატეხვა ახალაიების ინტერესებშია.

„იმ დროსაც კი, როდესაც იქ არაფერი ირღვევა და ყველაფერი კანონიერადაა, მათ სურთ, თავი წარმოაჩინონ დევნილად და წამებულად“, – მიიჩნევს ნანა კაკაბაძე.

მანანა ნოზაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC! – რეჟისორის თვალთახედვით

ნიკა გვარამიას მკაცრად მოეკითხება!

იმ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც საქართველოში მუშაობდა, ბაჩო ახალაია სერიოზული ფიგურაა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 51%-იანი წილის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველო“, გენერალური დირექტორი კი ნიკა გვარამია გახდა. სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, 13 ნოემბერს გამართულ პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ ტელეკომპანია „საქართველო“ 51%-ის სანაცვლოდ „რუსთავი 2“-ს მის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას მთლიანად გადასცემს. „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილი - გიორგი გეგეშიძეს, 22% - ლევან ყარამანაშვილს, 18% კი გიორგი ყარამანიშვილს ეკუთვნის. შეგახსენებთ, ეს ადამიანები სააკაშვილის კარის ბიზნესმენებად მოიაზრებიან.

ახალი მფლობელი ჰყავს ტელეკომპანია „პიკ“-საც, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხს „პიკს“ მართავდა. მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს კომპანიის 60% ოთხი დღით ადრე შექმნილ შპს „შვიესას“ გადაეცა. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ კომპანიის 60%-ის გადაცემის სანაცვლოდ, „შვიესა“ ვალდებულია, ოქმზე ხელმოწერიდან 5 წლის განმავლობაში შპს „ტელეკომპანია პიკის“ კაპიტალში მილიონ ხუთასი ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელოს. „შვიესას“ დამფუძნებელი და დირექტორი ლიტველი დარიუს იურგელავიჩუსია. ის ორმაგ მოქალაქეობას ფლობს და ამჟამად თბილისში ცხოვრობს. ლიტვური მედიის ცნობით, იურგელავიჩუსი საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მრჩეველი იყო. ამის შესახებ ინფორმაციას, media.ge ავრცელებს.

შეგახსენებთ, სულ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „საქართველოს“ სამაუწყებლო ლიცენზია „სამოქალაქო განათლების ფონდს“ გადაეცა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას ცოლი და ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილია.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში, 4 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ 40% თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა იყიდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 4 ოქტომბერს ჩატარებული პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, ლევან ყარამანიშვილმა თავისი კუთვნილი 90%-იანი წილიდან 40% ნახევარ მილიონ დოლარად „მედია ჯორჯიას“ მიჰყიდა. ასევე „მზის“ აქტივების მფლობელმა ყარამანაშვილმა „მზის“ 40% 250 000 აშშ დოლარად შპს „ჯორჯიან მედია კომპანის“ მიჰყიდა. კომპანიები, რომლებმაც „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ წილი იყიდეს, 3 ოქტომბერს კეზერაშვილმა ერთპიროვნულად დააფუძნა. სამი დღის შემდეგ კი მან ეს წილები გიორგი ყარამანაშვილზე გაასხვისა.

ამდენად, იკვეთება ტენდენცია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, ისედაც მის მიერ კონტროლირებადი ტელეკომპანიები ვიღაცებზე გადაყიდოს და ამ გზით ტელეკომპანიების „კეთილსინდისიერი“ მყიდველები შექმნას. მოგეხსენებათ, ტელეკომპანიების „მზე“ და „რუსთავი 2“-ის ყოფილმა მესაკუთრეებმა, ვანო ჩხარტიშვილმა და ქიბარ ხალვაშმა სპეციალური განცხადებები გააკეთეს, რომ მათ დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებენ. ტელეკომპანიები „საქართველო“ და „პიკ“ კი სხვების კუთვნილ სიხშირეებზე მაუწყებლობენ. კერძოდ, „პიკ“-ის სიხშირე მედიაკავშირ „ობიექტივს“ ეკუთვნის, „საქართველო“ კი ტელეკომპანია „202“-ს სიხშირეზე მაუწყებლობს. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა წინაპირობას ქმნის იმისთვის, რომ სიხშირეებისა და ტელეკომპანიების კანონიერ მესაკუთრეებს პრეტენზიები აღარ ჰქონდეთ, ვინაიდან მათი არხები და სიხშირეები ახლა „კეთილსინდისიერი“ მყიდველების მფლობელობაშია.

„რუსთავი2“-ის ახალი გენერალური დირექტორი კი 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გადაღებულ ფილმის „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ერთ-ერთი შემოქმედი იყო. შეგახსენებთ, იმ პერიოდისთვის ნიკა გვარამია გენერალური პროკურორის მოადგილე იყო და ყველას გვახსოვს, როგორ საუბრობდა იგი ამ ფილმში ნოემბრის აქციის ორგანიზატორებზე, როგორც ძვეყნის მღალატეებსა და რუსეთის აგენტებზე.

* * *

ამ თემებზე for.ge-ს გვარამიას მიერ სამშობლოს მოღალატედ შერაცხული რეჟისორი გოგა ხაინდრავა ესაუბრება.

„ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ „რუსთავი2“ ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს და მთელი ამ პერიოდის განმავლობაშიც მას ეკუთვნოდა. ყველა დანარჩენი ფიგურანტი ამ საქმეში უბრალოდ შირმაა, ისევე, როგორც გვარამიაც არის შირმა, რადგან არაფერს წარმოადგენს და არც არასოდეს წარმოადგენდა. რაც შეეხება ფილმს „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, ამაზე გვარამიას პასუხი მოეთხოვება, კერძოდ, ცილისწამებაზე, საქმის გაყალბებაზე და უამრავ სხვა თემაზე, რომელშიც გვარამია ისეთივე დამნაშავეა, როგორიც მთელი ეს ტერორისტული ორგანიზაცია. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ტერორისტული ორგანიზაცია და ის უნდა გასამართლდეს, როგორც ორგანიზაცია. მათ შორის იქნება, რა თქმა უნდა, ეს ვაჟბატონიც. იქ იქნება მოროდიორობის უამრავი საქმე, რაც მათ აქვთ ჩადენილი, იგივე „იმედთან“ მიმართებაში და ა.შ.

სააკაშვილის კარის ბიზნესმენების დიდი სატელევიზიო ფართიფურთი...

მართალია, პარადოქსულად ჟღერს ერთად სახელმწიფო და დანაშაული, მაგრამ ეს ფაქტია და ერთ-ერთი ასეთი დამნაშავე იყო გვარამია. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, გვარამიას დანიშნავენ იქ, არველაძეს თუ ჯანდაბას და ოხრობას, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ყველანი დამნაშავეები არიან ქართველი ერის წინაშე და ყველამ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც აქვთ ჩადენილი.

– ბატონო გოგა, ქიბარ ხალვაშმა განაცხადა, რომ „რუსთავი2“-ის დასაბრუნებლად იბრძოლებს. ნიკა გვარამია კი, რომელიც არხის გენერალურ დირექტორად დაინიშნა, ამბობს, რომ არხის ყოფილი მფლობელების დავასთან დაკავშირებით არაფერი იცის.

– გვარამია არის მატყუარა და ფარისეველი. ის ყველანაირად შეეცდება, გაამართლოს ყველა ის უგუნური ნაბიჯი, რასაც სააკაშვილი პირველი ოქტომბრიდან მოყოლებული დგამს. გვარამია რას აცხადებს, არავის აინტერესებს. მთავარია, რას იტყვის გამოძიება და ჩვენ დაველოდებით გამოძიებას.

– ტელეკომპანია „პიკ“-საც ახალი მფლობელი ჰყავს. ეს არის ვინმე დარიუს იურგელავიჩუსი, რომელიც თავის დროზე ვანო მერაბიშვილის მრჩეველი იყო. ასევე ტელეკომპანია „საქართველოსაც“ ახალი მფლობელი ჰყავს და ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ პროცესებმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენა იქონიოს?

– რასაც ისინი აკეთებენ, ყველაფერი მათ საწინააღმდეგოდ მუშაობს. ჩერგოლეიშვილმა, მერაბიშვილმა და ბენდუქიძემ რაც არ უნდა შექმნან, ქართველი ხალხის გულს ისინი ვეღარასოდეს მოიგებენ იმ კრიმინალის, ცინიზმის და აბსოლუტური უმსგავსობის გამო, რაც მათ მთელს საქართველოზე გადმოანთხიეს. ამიტომ, ეს არის აბსოლუტურად უშედეგო მცდელობა. ხარჯონ ფული ბენდუქიძეებმა და ჩერგოლეიშვილებმა, რადგან ეს ფული მაინც გაჭირვებული ხალხის ჯიბიდან არის ამოღებული, იქნებ საქმეს გამოადგეს, ადამიანები მაინც დასაქმდნენ. რაც შეეხება მედია-საშუალებების მიერ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისმცდელობას, გეტყვით, რომ მედია-საშუალება მაშინ არის სასარგებლო, როდესაც მაყურებელი იმ ინფორმაციით და მენტალობით არის დაინტერესებული, რაც ამ ტელევიზიიდან მოდის. მართლაც საკვირველია, ვის რაში აინტერესებს ჩერგოლეიშვილისა და ბენდუქიძის ტელევიზია? საქართველოში პოლიტიკური პარტიებიც იყვნენ, რომლებიც პირველობას ჩემულობდნენ, მაგრამ რეალობა როგორია ყველამ კარგად დავინახეთ. ასე რომ, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი, რამდენიც უნდათ, იმდენი არხი გააწყონ. საქმე ის არის, ვინ უყურებს და ვინ დაუჯერებს და არა ის, თუ რამდენი არხი ექნებათ. ისევ ვიმეორებ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე დამთავრდება. კვირები გადაწყვეტს ამას, ძალიან საინტერესო საქმეები გაიხსნება, რომლებიც სააკაშვილსა და მერაბიშვილს პირდაპირ ამხელს.

– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „ნაციონალები“ ცდილობენ, ტელეკომპანიების „კეთილსინდისიერი“ შემძენები შექმნან. ამიტომ, სამართლებრივად ძალიან საინტერესო სიტუაცია იქმნება.

– ეს ყველაფერი თაღლითური სქემებია, მაგრამ ვინ ჭამს ამას?

– დიახ, მაგრამ შემდეგ მათ ეს საშუალებას მისცემს, მედიაზე ზეწოლის შესახებ დაიწყონ საუბარი.

– რომელ ზეწოლაზე? დამთავრებულია მათი საქმე. თითოეული მათგანი დღეს სტარტზეა, როგორ მოქუსლოს ამ ქვეყნიდან და ზოგიერთმა უკვე მოქუსლა კიდეც. როდესაც საბიუჯეტო სახსრების ხან ერთ და ხან მეორე კომპანიაში გადაქაჩვა ხდება, ეს არის თაღლითური სქემები. იგივე შეიძლება ითქვას „პიკ“-ზე, რომელიც არის ფულის სარეცხი მანქანა. ეს არის მერაბიშვილის სქემა. თავიდან იყო აბსოლუტურად უკანონოდ შექმნილი ტელეკომპანია „ალანია“, რომელსაც მერაბიშვილი კურირებდა. ასევე თაღლითური სქემით შეიქმნა „რეალ-ტვ“, სპეც-დანიშნულების განყოფილება, რომელსაც რატომღაც ტელევიზია დაარქვეს. ამის უკან სიხშირეებია, ლიცენზიებია და ა.შ. მაგრამ ეს თაღლითობა იმდენად ზედაპირზე დევს, რომ დიდი გამოძიება ამას არ დასჭირდება.

დამთავრებულია მათი საქმე. თითოეული მათგანი დღეს სტარტზეა, როგორ მოქუსლოს ამ ქვეყნიდან და ზოგიერთმა უკვე მოქუსლა კიდეც. როდესაც საბიუჯეტო სახსრების ხან ერთ და ხან მეორე კომპანიაში გადაქაჩვა ხდება, ეს არის თაღლითური სქემები.

მერაბიშვილი არის ძალიან სერიოზული დამნაშავე და მას ძალიან სერიოზულ ბრალდებებზე მოუწევს პასუხისგება, ისევე, როგორც გიგა ბოკერიას, რომელიც პირდაპირ იმხილება ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში. იგი პირადად იძლეოდა ბრძანებებს, რის შედეგადაც ადამიანები დაიხოცნენ და დასახიჩრდნენ. ამიტომ მოსალოდნელია ძალიან სერიოზული სასამართლო პროცესი, რომელზეც ეს ყველაფერი გახდება ცნობილი როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

– უნდა გკითხოთ ბაჩო ახალაიას შესახებ, რომლის მეშვიდე საპყრობილეში გადაყვანას დიდი ხმაური მოჰყვა. მისი ოჯახი და გუნდის წევრები აცხადებენ, რომ ახალაიას საფრთხე ელოდება. თქვენი აზრით, ვისგან ელოდება მას ეს საფრთხე?

– საფრთხე ნამდვილად ემუქრება და პირველ რიგში, ნაციონალების მხრიდან, რადგან ის არის ძალიან სერიოზული მოწმე. მას შეუძლია სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი და მთელი ეს ნაციონალური ტერორისტული ორგანიზაცია უამრავ დანაშაულში ამხილოს. ამიტომ, ბუნებრივია, მიმდინარეობს ამ ფონის მომზადება, რადგან ყველასთვის ნათელია, რომ ახალი ხელისუფლება თვალის ჩინივით გაუფრთხილდება ისეთ მოწმეს, როგორიც ბაჩო ახალაიაა. ბუნებრივია, ხელისუფლების მხრიდან მას არანაირი საფრთხე არ დაემუქრება, რადგან ის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა იმ ძალიან დიდ პროცესზე, ნიურნბერგის პროცესზე, რომელიც საქართველოში ჩატარდება. ამიტომ, ახალი ხელისუფლება მისი უსაფრთხოების დასაცავად ყველაფერს გააკეთებს. სწორედ ამან განაპირობა მისი მეშვიდე საპყრობილეში გადაყვანა. ბუნებრივია, 40-კაციან ციხეში ბევრად უფრო ადვილია ადამიანის შენახვა, თუნდაც ის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში იყოს ეჭვმიტანილი და სწორედ ამაშია ახალაია მხილებული.

მე მგონი, ახალაიას და მამამისს უნდა ესმოდეთ (და ვფიქრობ, ესმით კიდეც), რომ მას საფრთხე სააკაშვილისგან და მერაბიშვილისგან ელის, რადგან იმ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც საქართველოში მუშაობდა, ბაჩო ახალაია სერიოზული ფიგურაა. ამიტომ, ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი მოწმისგან რაც მალე განთავისუფლდებიან, მით უკეთესი იქნება, მაგრამ ვერ ეღირსებიან! ახალაია იქნება დაცული და ძალიან ბევრ რამეს დაწერს მათზე, კალამს ვერ გააგდებინებენ ხელიდან. მინაშვილს რომ ახალაიასთან ერთად განუწყვეტელი ყოფნა უნდა, მალე მიუსვამენ გვერდით, ისევე როგორც თეა თუთბერიძეს, რადგან იდეოლოგები არანაკლებ დამნაშავეები არიან, ვიდრე ჯალათები. ამ ქვეყანაში სამართალი აღდგება და ყველა აგებს პასუხს თავის საქციელზე.

რუსუდან უშიკიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პატივგება

საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ბოლოდროინდელი ეროვნული ფსიქოლოგიური სკოლის აღიარებული ლიდერის, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის ხსოვნისადმი. ამ შესანიშნავი ფორუმის ორგანიზატორების როლში მოგვევლინნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნადირაშვილი და სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

როცა ასეთი არდასავიწყარია...

განწყობის თეორიის თანამედროვე მდგომარეობა – ასეთი იყო კონფერენციის თემატურობა. გავიხსენოთ – დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია მსოფლიოშია სახელგანსმენილი, შოთა ნადირაშვილი კი ის მკვლევარია, ვინც ეს თეორია ასე შემოქმედებითად და საგულისყუროდ განავითარა. ერთობ ტევადი, „უხვგამოსვლიანი“ აღმოჩნდა ფორუმის სამუშაო პროგრამა, 24 მომხსენებლისა და მოხსენების მომცველი; სამაგიეროდ, თითოეული გამოსვლა მხოლოდ ათწუთიან რეგლამენტს ითვალისწინებდა, რამაც შეკრება დინამიკური და „მოუწყენადი“ გახადა. ისიც საგულისხმოა, რომ სამი მოხსენების სათაურშივე ფიგურირებდა განსვენებული მეცნიერის სახელ-გვარი, რაც კიდევ უფრო წარმოაჩენდა კონფერენციის მემორიალურობას: „აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი – პიროვნება და მეცნიერი“ (დოქტორი ზურაბ ვახანია); „აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი, მეცნიერი და მეგობარი“ (დოქტორი რევაზ ქვარცხავა); „დიდი მასწავლებელი და ნათელი პიროვნება“ (დოქტორი ლია სვანიძე).

თბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ. „ნამდვილი ქართველი კაცი, რომელიც სულ ცდილობდა საქართველოსთვის რაღაც გაეკეთებინა... ერის ფსიქოლოგიის კვლევისას გიორგი მერჩულეს, სულხან-საბას, ილიას მემკვიდრედ წარმოდგაო“ – ეს შტრიხები შოთა ნადირაშვილის პორტრეტისათვის ზურაბ ვახანიას გამოსვლიდან დამახსომდა... დიტო ნადირაშვილი კი ჩინებულ მაგალითად მეჩვენა მამისაგან „მეცნიერული გენეტიკურობისაც“ გამოყოლისა. „ადამიანის განვითარების დონეები განწყობის თეორიაში“ – ასე ერქვა შვილის მოხსენებას, რომელმაც მოკლე დროში შეძლო სამნაირი დონის გაშუქება: პირველი გულისხმობს ინდივიდის მოქმედებას; აქტიურობის მეორე დონეზე სუბიექტისგან სხვადასხვა პრობლემური ვითარების გაცნობა ხდება; განწყობათა იერარქიის უმაღლეს დონეზე კი პიროვნების, როგორც სოციალური არსების, აქტივობა მიმდინარეობს...

ახლა შოთა ნადირაშვილის ადამიანური და მეცნიერული ბიოგრაფიის სხვა დეტალებსაც მივხედოთ. ის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ფსიქოლოგიური კვლევის იმნაირ სფეროებსაც, როგორც შრომის ფსიქოლოგიაა, როგორც საინჟინრო ფსიქოლოგიაა; გახლდათ ერთობ ნაყოფიერი მოღვაწე საზოგადოებრივ ასპარეზზე, ავტორი ეროვნულობაზე მრავალი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური წერილისა, აქტიური მონაწილე ქვეყნის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პროცესებისა; ფიქრობდა, რომ ჭეშმარიტად პროგრესულ ერს, ისევე როგორც სრულყოფილ და შემოქმედ პიროვნებას, უნდა ახასიათებდეს მშობლიური ენის სიყვარული, მყვიდრ ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტირება, ეთნიკური შემწყნარებლობა.

გამორჩეულად აქტიური, ფრიად შთამბეჭდავი იყო ბატონ შოთას პედაგოგიური თუ ორგანიზატორული მოღვაწეობა. 50-ზე მეტი დისერტანტის ხელმძღვანელმა არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა საიმედო გზა სამეცნიერო ასპარეზზე. მან 20 წელი უხელმძღვანელა ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და იმისი მიღწევები უცხოეთის მკვლევართათვის მისაწვდომად და აღიარების საგნად აქცია. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი ქართული მეცნიერების ისტორიაში შევა, როგორც არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე, მაღალინტელექტუალური, ფართოდ ერუდირებული პიროვნება და ჭეშმარიტი ჰუმანისტი.

ცალკე უნდა შევჩერდეთ საპატრიარქოს ტელეარხის „ერთსულოვნების“ ეთერით გადაცემულ ერთ საუბარზე უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს შორის, რომელმაც ფართო საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გასაგებია, თუ მსმენელ-მაყურებლის როგორ გულისყურს მიიპყრობდა ორი ბრძენკაცის განსჯა იმგვარ საკაცობრიო თემებზე, როგორიცაა მამათა და შვილთა ურთიერთობა, უფროსი თაობისადმი დამოკიდებულება, წარსულის პატივისცემა; ბრძოლა ყალბ ავტორიტეტებთან, წინდაუხედავი „ნულოვანი ტოლერანტობა“; უცხო ქვეყნების ფსევდოკულტურით მოხიბვლა თუ გადაგვარება ეროვნულ ფასეულობებში გაურკვეველი ახალგაზრდებისა; და რაც ეგებ ყველაზე მთავარია – რწმენის წართმევა, რასაც მიზანმიმართულად ცდილობენ ადამიანის, როგორც ღირებულების დაღუპვის მიზნით.

– დიახ, რწმენის წართმევა – ეს არის ადამიანის დაღუპვაო, ბრძანა პატრიარქმა. პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა – გვახსოვდეს უფლისმიერი ეს მცნება, ეს ღვთის კანონიაო. მე, მაგალითად, სტუდენტობისას სულ ვფიქრობდი, რით გამეხარებინა მშობლები მათთან წასვლისას, რაღაცას აუცილებლად ვუყიდიდი და ბავშვებივით უხაროდათ საჩუქარი... გარდაცვლილი დედ-მამის ერთად გადაღებული სურათი კედელზე მიკიდია, ხანდახან შოკოლადებს ან ხილს, ან რაღაცას დავუდებ და მიირთვით-მეთქი, მივმართავ, ვითარცა ცოცხლებს – ესეც უწმინდესის ნაბრძანებია... ძალიან ხშირად მშობლები უცხოეთში აგზავნიან ახალგაზრდებს, ჯერაც ვერ განმტკიცებულთ ეროვნულ ფასეულობაში, იმ ფასეულობის არმცოდნეთ, რამაც საქართველო გადაარჩინა. დაეცა რომის იმპერია, ბიზანტია, სხვაც მრავალი, საქართველო კი არსებობს – რა, მათზე ძლიერი ვიყავით?.. როცა ადამიანი არ დგას მტკიცედ საკუთარ ფუძეზე, წინაპართა ფასეულობებზე და ხვდება უცხო ქვეყანაში, კულტურაში, წეს-ჩვეულებებში, – ხდება იმისი გადაგვარება, იქ არსებული კულტურის მიღება...

შოთა ნადირაშვილი, პატრიარქის ხელით წმინდა გიორგის ორდენით მკერდდამშვენებული, ასე შეეხმიანა ამ ნაუბარს:

– ჩვენ, მეცნიერები, ჩვენს სფეროშიც მივდივართ ღმერთისგან ნაბოძებ-ნათქვამ ჭეშმარიტებამდე. თქვენ ლაპარაკობდით მშობლებთან ურთიერთობაზე. ჩემი მეცნიერება ასე განსჯის: 6-7 წლამდე ბავშვებისათვის მშობლებია ყველაზე მეტად მისაბაძი და მათნაირები ხდებიან, ისინი უნერგავენ გარკვეულ დამოკიდებულებებსა და განწყობებს. 6-დან 12 წლამდე მასწავლებლის გავლენა უფრო მეტია და ავტორიტეტის თვალსაზრისით, ზემოქმედების მეტი ძალის მქონე... 12-დან 16 წლამდე ყმაწვილებს უნდათ, რომ თვითონ გახდნენ პიროვნებები, საკუთარი „მე“ ჩამოიყალიბონ...

მთავარია, ჩვენმა ხალხმა გაიგოს, სად არის ჭეშმარიტება. გზა სადაა, ჩვენი გზა – ეს უნდა ვიცოდეთ. მაცხოვარი ამბობს, „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“ – ასე შეჯამდა ორი ბრძენკაცის დიალოგი, მერე რომ რამდენჯერმე განმეორდა ეთერში...

კონფერენციაზე გვერდით ვუჯექი მანანა ცინცაძე-ნადირაშვილისას, გამოჩენილი ქართველი სწავლულის ერთგულ თანამეცხედრესა და ღირსეულ ქალბატონს და ვგრძნობდი მის შინაგან გასხივოსნებას, სიამაყეს მეუღლის ასეთი პატივგებითა და ასეთი ვაჟიშვილის, დიტოს დედობით გამოწვეულს...

მერე ის იყო, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში საზეიმოდ გაიხსნა აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სახელობის კაბინეტი და იმისი ხსოვნის ნათელყოფის, ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების პროპაგანდის კიდევ ერთი კერა გაჩნდა...

თამაზ ეგანოიძე

◎ სამადლობელი

შალვა მგალობლიშვილი მეუღლესთან ერთად

ჩვენი შალვა!

შალვა მგალობლიშვილი სამოცდაათი წლის გახდა.

დიდხანს ვფიქრობდით, თუ როგორ მიგველოცა, როგორ გვეთქვა ჩვენი სათქმელი. ვფიქრობდით და ვთქვით:

გილოცავთ, ჩვენო შალვა!

დიახ, შალვა ჩვენია.

ჩვენია კაცი, რომელიც მთელი მარნის, აბაშის რაიონის ულამაზესი სოფლის მეჭირნახულეა.

კაცი, რომელიც მთელი სამეგობროს მეჭირნახულეა.

კაცი, რომელიც მთელი საქართველოს მეჭირნახულეა.

ჩვენი შალვა მგალობლიშვილი, რომელიც ყველასია. სამეზობლოსი, სამეგობროსი, შვილების და მათი სამეგობროსი...

ბიძინა მგალობლიშვილი.

ჩვენი შალვას მამა.

უდიდესი ტკივილი და ამავე დროს დიდი სიამაყე.

ბიძინა მგალობლიშვილი, რომელიც ალმოდებული სოხუმიდანაც კი არ გამოვიდა.

ჩვენი შალვას მამა ბიძინა მგალობლიშვილი ექიმის, დიდი ექიმის სახელით შევიდა ისტორიაში.

შალვას მეუღლე – ულამაზესი ქალბატონი სვეტა.

სათნო, უკეთილშობილესი ქალბატონი და ამით ყველაფერი ნათქვამია.

ნათქვამია ის სითბო, ის სიყვარული, ის ქალობა, რომელიც ქალბატონ სვეტას შეუძლია.

გიხაროდენ!

ბიძინა, ლევანი...

მოდიან და დგანან იქ, სადაც ქართველობაა, სადაც მეგობრობაა, სადაც სიყვარულია.

შალვას და-ძმები. შესანიშნავი ექიმები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ოჯახის ტრადიციას.

ბევრი ამბის მოყოლა შეიძლებოდა შალვაზე. შეგვეძლო ბევრი გვეთქვა, თუ როგორ ედგა მხარში ყველა ჩვენგანს. შეგვეძლო, მაგრამ ეს ყველამ ვიცით.

ვიცით, გვახსოვს და მუდამ გვემახსოვრება.

გილოცავთ, ჩვენო შალვა!

ახლობლები და მეგობრები

მამა-შვილი
შალვა და ბიძინა
მგალობლიშვილები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №197

გერმანელი ფილოსოფოსის „მზერა საქართველოზე“

დიდი ხანია, ვცდილობ ქართული კულტურის, თვითმყოფად ფენომენთან დაახლოებას. თუმცა, მეცნიერული თვალსაზრისით, მსგავსი მცდელობანი მუდამ ცდების დონეზეა, რომ ცნობიერება იმ ერისა, რომელიც რაღაც კულტურას ქმნის, საგნობრივად დაკონკრეტდეს, ჩამოყალიბდეს და მისგან გარკვეული სქემა გამოვიყვანოთ, რაც კვლევის საგანი გახდება და მეცნიერულად აღსაქმელი იქნება. ამ ქვეყანაში არსებობს რაღაც სპეციფიკა, რომელიც ძალიან საინტერესოდ გამოიყურება და, ვფიქრობ, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებისთვისაც უზვეულო მნიშვნელოვანებას იძენს.

ესა თუ ის კულტურა წარმოდგება, როგორც გარკვეული კრეატიული პასუხი რაღაც ისტორიულ მოცემულობებზე.

როდესაც საქართველოზე ვსაუბრობთ, აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: საქართველოს მდებარეობა აღმოსავლეთის და დასავლეთის გზაგასაყარზე.

ბოლო წლებში გარკვეული ტენდენცია გამოიკვეთა, რასაც, ალბათ, თავისი ტრადიცია გააჩნია, რომ საქართველო რაღაც შუალედური ზონაა, თითქოს კულტურულად არავის ქვეყანაა, რაც აბათილებს იმ რწმენას, რომ საქართველო მხოლოდ ერთ ან მეორე მიმართულებას – აღმოსავლეთს ან დასავლეთს, წარმოადგენს. პირადად მე ადრეც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ქართული კულტურა თავის თვითმყოფადობას ინარჩუნებს, როგორც ევროპული კულტურული კოსმოსის ნაწილი, მაგრამ იმავდროულად განიცდის სხვა კულტურების ძლიერ იმპულსებსაც, რასაც თავისებურად გარდაქმნის და საკუთარ მიმართულებას აძლევს. ერთი შეხედვით, ქართული კულტურა არ არის კლასიკური ევროპული განვითარების ცენტრში. ზოგიერთები ევროპულს უწოდებენ არა რაღაც საერთო, კომპაქტურ ევროპულ კულტურულ იდენტობას, რასაც საფუძვლად ანტიკური ხანა და ქრისტიანობა უდევს, არამედ გახსნილობასაც, ღიაობას დიალოგისკენ სხვა კულტურებთან.

აქ ერთი თავისებურებაცაა: თვითდამკვიდრების ნება, ესე იგი მზადყოფნა და უნარი, რომ გარე იმპულსები და გავლენები მართლაც თვითმყოფადურად გადამუშავდეს და განვითარდეს. მაგრამ ეს გახსნილობის გარეშე ვერ მიიღწევა... თუმცა, ამგვარი გახსნილობა საქართველოში მუდამ სპეციფიკურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს ეხებოდა, ანუ მეზობელი დიდი კულტურები იმავდროულად დიდი პოლიტიკური იმპერიები და ეკონომიკური ძალმოსილების ბლოკები იყვნენ, რომლებიც, ასე ვთქვათ, პატარა საქართველოზე აუტანელ ძალადობას ახდენდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს სულიერ სფეროში ეს გახსნილობა ახლაც არსებობს და რასაც ამ ქვეყანაში დღესაც ვგრძნობ. მისი მიზანმიმართულად მიკუთვნება ერთი ან მეორე მხარისთვის შეუძლებელია. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ეს ვერ მოხდება პოლიტიკური ზეწოლით და გადაწყვეტილებებით. ამა თუ იმ კულტურის განვითარება დამოკიდებულია თავისივე შიდა კანონებით თუ კანონზომიერებით. ის იდენტური ვერ იქნება ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან ან პოლიტიკურ მიმართულებებთან, რომელიც თუნდაც ახლახან გვევლინებოდა მმართველ ძალად. როგორც გითხარით, **მე ვუყურებ ქართულ კულტურას, თითქმის როგორც ევროპულის პროტოტიპს და მას შეუძლია ევროპელებს საკუთარი ფესვები შეგვახსენოს და მოგვთხოვოს ჩვენი ნამდვილი ევროპელობა თავიდან აღმოვაჩინოთ.**

ერთ-ერთი ნიშანდობლივი მომენტი, რომელმაც ყოველივე სულ სხვაგვარად წარმოაჩინა, იყო, რა თქმა უნდა, 2008 წლის ომი. აქ გამოჩნდა, რომ ინფორმაციის მოწოდება კავკასიის რეგიონის შესახებ, როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში, აშკარად ცალმხრივი იყო. ამ მიზეზით ჩვენ შევქმენით ჟურნალის პროექტი. რომელსაც ჰქვია **„მზერა საქართველოზე“.** ეს ჟურნალი გარკვეულწილად სარკესავითაა, სადაც საქართველო არა მხოლოდ ინფორმაციის მოწოდების ნაკადია, არამედ უფრო როგორც თავისებური პრიზმა, სადაც ბევრი გლობალური ტენდენცია აირეკლება და ძალიან ბევრ, განსხვავებულ ნაწილად გადატყდება,მაგრამ კვლავაც ერთ გარკვეულ ადგილას, კავკასიის რეგიონში, საქართველოში იჩენს თავს.

პირველად თბილისში, თუ სწორად მახსოვს, 2005 წელს ჩამოვედი. სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფოსის მარინა ფერაძის მეშვეობით მოვიპოვე კონტაქტები. მან გამიხსნა გზა, რომ გამეცნო ქართველი ფილოსოფოსების მთელი წყება. პირველი შთაბეჭდილებებით ძალიან მოხიბლული დავრჩი. ამის შემდეგ, მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფილოსოფიური საკითხებით არ დავინტერესებულვარ. სულ უფრო და უფრო, ფართო გაგებით მიზიდავდა საქართველოს მთელი კულტურა. იმავდროულად ამ საკითხის ჩაღრმავება დავიწყე გერმანიაშიც, დავუკავშირდი იმ ადამიანებს, რომლებიც ამ თემებზე მუშაობდნენ. მაგალითად, მივმართე ჰამბურგში არსებულ გერმანულ-ქართული მეგობრობის საზოგადოებას, გამორჩევით ქალბატონ მარიკა ლაფაური- ბურკს. თანდათან ჩვენ კარგი მეგობრებიც გავხდით და ერთად ბევრი პროექტიც განვახორციელეთ საქართველოსა და გერმანიაში.

საქართველოს მეტად სპეციფიკური მდებარეობა განსხვავებული კულტურების გზაგაჯვარედინზე და ქართულის სახის ჩამოყალიბება დიალოგური კულტურის სახით, ჩემთვის გამოიყურება, როგორც გასაღები, რათა სხვადასხვა შეკითხვაზე ნაციონალურ-ლოკალურ და უნივერსალურ, ანდა უფრო სწორად, ცივილიზაციათა შორის კულტურების განვითარების ურთიერთობაზე სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ.

ტრადიცია მხოლოდ მაშინაა სიცოცხლისუნარიანი, თუ იგი გარკვეულ კონფრონტაციაში მოდის ახალ მოცემულობებთან, ახალ ისტორიულ გამოწვევებთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, გარკვეულ დისკუსიებთან სხვა ქვეყნების კულტურათა მოდერნულობაზე, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში. გასაგებია, რომ ზოგჯერ ქართველი ხალხისთვის, რომელშიც ტრადიცია ძალიან ღრმადაა გამჯდარი, ეს მტკივნეულია, მაგრამ დისკუსია უნდა არსებობდეს არა მაინც და მაინც იმ მიზნით, რომ ამ ახალ ტენდენციებს გაუცნობიერებად მოერგოს, არამედ იმ აზრით, რომ აქ იყოს მცდელობა გამოინახოს რაღაც კრეატიული პასუხი, რომელიც, თავის მხრივ, თვითმყოფადი კულტურით იქნება ნაკვები.

წარსულში ბევრი ვიმუშავე სოციალურ სამსახურში, ეს ჩემს ცხოვრებაში მთავარი რამ იყო. სოციალურ სამსახურში ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე. ძირითადად ავადმყოფთა მოვლით ვიყავი დაკავებული. ეს ჩემთვის გახლდათ გაგება იმ ადამიანებისა, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილნი და დახმარებას საჭიროებდნენ. მუდამ პარალელური, ორი სამყაროთი ვცხოვრობდი – ეს იყო სოციალური სამსახური და აკადემიური გამოცდილება, ანუ კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღება. შემიძლია ჩემ ბიოგრაფიაში, როგორც განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი განვიხილო, როცა წარმოდგენა ჩამომიყალიბდა



მეცნიერების რაობაზე. ანთროპოლოგია, მეცნიერება არა მხოლოდ ადამიანების შესახებ, არამედ ადამიანებთან ერთად. ასეთი ხედვა სწორედ იმ პერიოდში ჩამომიყალიბდა.

შემდგომი მნიშვნელოვანი ასპექტია ჩემი, ზოგადად საქართველოთი უფრო და უფრო მეტად დაინტერესება, ერთობლივი მუშაობა მარიკასთან, რომელსაც გერმანულ-კავკასიურ საზოგადოებაში შევხვდი. ძალიან მადლობელი ვარ, რადგან ამის მეშვეობით ახალი ჰორიზონტები გამეხსნა და მივხვდი, რომ თუმც გერმანული საზოგადოება თავისი არსით მსოფლიოს წინაშე გახსნილია, მასში მაინც თითქოს მომეტებულადაა სამყაროს ცენტრში არსებობის განცდა თუ წარმოდგენა. რა თქმა უნდა, გარკვეული ეთნოცენტრულობა ყველა კულტურას ახასიათებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სპეციფიკურად გერმანული ნიშნები იკვეთება და კარგი იქნებოდა, რომ მომავალში ეს შეიცვალოს. ამ კონტექსტში საქართველოს გაცნობა ჩემთვის მართლაც ფასდაუდებელია. ერთობლივი მუშაობა კიდევ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ როცა ეცნობი ადამიანებს სხვა კულტურიდან, რომლებიც, იმავდროულად, გერმანულ კულტურას იცნობენ, ხდება სულ სხვა, უფრო ინტიმური და უფრო ღრმა დაკვირვება , განსაკუთრებით მაშინ, როცა დიალოგის პარტნიორი თავად ცხოვრობს ორივე კულტურის განცდით, ორივეს იცნობს და ამავე დროს გაუცხოების გამოცდილებაც აქვს ორივესთან, მაგრამ იმავდროულად თავისი წარმომავლობის კულტურითაა მეტწილად დავალებული. საზოგადოება „ლილეში“ მუშაობა ჩემთვის იმიტომაცაა ძალზე მნიშვნელოვანი, რომ ყველანაირი მცდელობები, გინდაც აკადემიურ დონეზე, ანდა თუ გნებავთ, ის, რაც თავისუფლების ანტროფოლოგიად ჩამოვაყალიბე, პრაქტიკულ კომპონენტებსაც შეიცავს.

